დანართი №1

შპს ,,ქედის კომუნალურსერვისის“ 2023 წლის საქმიანობას შესახებ ინფორმაცია

შპს ,,ქედის კომუნალურსერვისი“ დღეის მდგომარეობით ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:

1. ქუჩების, მოედნების, პარკებისა და სკვერების სანიტარული დასუფთავება.
2. პარკების მრავალწლიანი ნარგავების განაშენიანებაზე ზრუნვა და მათი მოვლა-პატრონობა.
3. ტურისტული ზონების ტერიტორიის დასუფთავება და მოვლა-პატრონობა.
4. საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა.
5. ქუჩების, მოედნების, პარკების, ადმინისტრაციული ცენტრებისა და სოფლების გარე განათების სისტემის კეთილმოწყობა.
6. ქედის მუნიციპალიტეტის დაბიდან და სოფლებიდან ნარჩენების გატანა.
7. სისტემურად ხდება ნაგვის კონტეინერების შეკეთება, ყოველდღიურად სუფთავდება დაბა ქედისა და აწჰესის დასახლების ქუჩები, პარკები და სკვერები.

მუნიციპალიტეტის 64 სოფლიდან და ცენტრებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას ვახდენთ ყოველდღიურად დაბიდან და სოფლებიდან ყოველ მეხუთე დღეს, 2023 წელს გატანილია 282 რეისი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, ემსახურება ორი ერთეული მაღალი გამავლობის სპეც. ტექნიკა.

გაცნობებთ, რომ მოძველებული ტექნიკის გამო, ხშირად მწყობრიდან გამოდის მერსედესის ტიპის სპეც.მანქანა, რაც აფერხებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, ამიტომ გვესაჭიროება ახალი მაღალი გამავლობის სპეც.ტექნიკა, რათა დროულად მოვახდინოთ ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან.

ეტაპობრივად ვახდენთ მაწანწალა ცხოველების გადაყვანას, ვაქცინაციას და კანონით გათვალისწინებული პროცედურების ჩატარებას, რომელზეც დაიხარჯა 19800 ლარი, მნიშვნელოვნად გაიზარდა გარე განათების ქსელი დაბასა და მუნიციპალიტეტის სოფლებში, 305 მრიცხველზე 160კმ. საკაბელო ელექტრო გადამცემი ხაზით გვაქვს განათებული 6000-მდე წერტილი. ელექტროენერგიის ხარჯი შეადგენს დაახლოებით 230000 ლარს. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობისათვის, ელექტრო საქონლის შეძენისათვის გამოყოფილი იყო 90000 ლარი, აქედან დაიხარჯა 61600 ლარი. სტიქიის მოვლენების შედეგად დაზიანებული გარე განათების ბოძების შესაცვლელად შეძენილი იქნა 25 ერთეული გარე განათების ბოძი - 7500 ლარის ღირებულებით.

სისტემატიურად ვახდენთ მუნიციპალიტეტის სოფლებში განვითარებული მეწყერის გაწმენდას, მეწყრული მასის გასატანად და შიდა საუბნო გზების მოწესრიგებისათვის მუნიციპალიტეტის მოსახლეობიდან შემოსულია 430 წერილი, რომელთაგან დაკმაყოფილდა და შესრულდა 280 წერილი, ნაწილი წერილებისა შექმნილი რიგის გამო ვერ შესრულდა, რის გამოც ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეძენილი იქნა დამატებით ერთი ერთეული მძიმე ტექნიკა-ექსკავატორი.

შ.პ.ს.,,ქედის კომუნალურსერვისი“-ს ბიუჯეტი 2023 წელს განისაზღვრა 1408850 ლარით, აქედან შრომის ანაზღაურება შეადგენს 642560 ლარს, გახარჯულია 595046 ლარი, ოფისის ხარჯები 321560 ლარი - აქედან გახარჯულია 316373 ლარი. რბილი ავეჯისა და უნიფორმის შესაძენად 10000 ლარი-გახარჯულია 9800 ლარი. საწვავ-საპოხი მასალის შესაძენად 193300 ლარი გახარჯულია 180732 ლარი. ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯები შეადგენს 153800 ლარს-გახარჯულია 103482 ლარი. მაწანწალა ცხოველების გადაყვანისათვის 20000 ლარი-გახარჯულია 19800 ლარი, სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურეობისათვის 46750 - გახარჯულია 45102 ლარი